ბოლშევიკური ფიქრა პრესისა, შეერთდით!

ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის
ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის

კომუნისტი

სსრკ ა. კ. ბ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და თბ. კომპარტიების და სამ. პარტიის ორგანო

ტელეფონები ავტ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—32—17, სამდივნოსი 10—58, მა. კონტორის—3—31.

სამშაბათი
11
ივლისი
1933 წ.
№ 158 (3714)

რკინის გზის ტრანსპორტის გარდაქმნის გაშლილი პროგრამა

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და პარტიის ც. კ.-ის დადგენილებები „რკინის გზის ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების გარდაქმნის შესახებ“ და „რკინის გზის ტრანსპორტზე ხელფასის და შრომის ნორმების სისტემის გარდაქმნის შესახებ“. სახკომსაბჭოს და ც. კ-ის 3 ივლისის დადგენილებასთან ერთად, ეს დოკუმენტები რკინის გზის ტრანსპორტის გარდაქმნის გაშლილ პროგრამას წარმოადგენენ.

დონბასის შესახებ პარტიის და მთავრობის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, ეს დადგენილებები იწყებენ ახალ ეტაპს წარმოების ხელმძღვანელობის სოციალისტური სისტემის შექმნაში. საქმე ეხება ხელმძღვანელობის ისეთ სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ტექნიკის ათვისების ეპოქის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ყველა ამოცანის რაც შეიძლება სრულად გადაჭრა.

რკინის გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობის ძველი სისტემა მთლიანად გაჟღენთილია მუშაობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდებით. უზომოდ გაბერილმა აპარატმა შთანთქა კვალიფიციურ ინჟენერ - ტექნიკოსთა ძალების უმრავლესობა ამ კადრების ორი მესამედი დაბანდებული იყო აპარატებში და მხოლოდ ერთი მესამედი—ხაზზე, სადგურსა და დეპოში.

მმართველობის ფართოდ გავრცელებული ფუნქციონალური წესი, უამრავი ზედმეტი განყოფილებებით და სექტორებით — იწვევდა მმართველობის გაუპირონებას, პასუხისმგებლობის გაუპირონებას. ძალიან ხშირად გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამმართველოები გვერდს უვლიდენ გზათა დირექციებს და ისე უწევდენ ხელმძღვანელობას ხაზს, რითაც არღვევდენ ერთმმართველობას და ქმნიდენ შეუწყნარებელ არევ-დარევას გზის მმართველობაში ბუნებრივია, რომ აპარატის ასეთი სერიოზული დეფექტების დროს ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ძირეულ საწარმოო რგოლს — დეპოებს, სადგურებს და დისტანციებს, ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის და საკუთარი სუსტი საინჟენერო - ტექნიკური ძალების ამარა იყვნენ მიტოვებულნი. ხელმძღვანელი აპარატი მოწყვეტილი იყო ცოცხალ სინამდვილეს და ვერ ამჩნევდა აშკარა დეფექტებს რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში (კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, სავაგონო პარკის მივიწყება, გაწყვეტილებული სვლის ფორმალურად გატარება, სალიანდაგო მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა). სურათს ამთავრებდა მეტად სუსტი დისციპლინა ტრანსპორტზე, დანაგვიანება უცხო მავნებლური ელემენტებით, რომელთა გამხრწნელ მუშაობას აადვილებდა კომუნისტების უკმარისი სიფხიზლე. სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი წარმოადგენენ ტრანსპორტის ძირეული გარდაქმნის პროგრამას, რომელიც სპობს რკინისგზების ხელმძღვანელობის საბოლოოდ გაკოტრებულ კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდს.

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია დაწყებულ უნდა იქნას კანცელარიებიდან კვალიფიციური ინჟენერ-ტექნიკური და ორგანიზატორული ძალების ხაზზე და დეპოში გადაყვანით.

ახლა ისე, როგორც წინათ არასოდეს, გიგანტურად გაიზარდა ძირეული საწარმოო რგოლის — დეპოს, სადგურის, დისტანციის, ლიანდაგის და კავშირგაბმულობის — როლი და მნიშვნელობა. მათ მუშაობაზეა დამოკიდებული მთელი ტრანსპორტის მუშაობა. ამავე დროს კი მათი დიდი უმრავლესობა ძალიან ცუდად მუშაობს ან კი როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს, როდესაც ძირეულ რგოლს არ ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელები, როდესაც ამ რგოლის უფროსებს არა აქვთ ყველა უფლება მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის და არ აწევთ მთელი პასუხისმგებლობა მუშაობის მსვლელობისათვის? კვალიფიციური სპეციალისტები ასობით და ათასობით უნდა ჩავაბათ ტრანსპორტის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობაში. მხოლოდ ჩინოვნიკებს და ოპორტუნისტებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ მუშაობა სადგურს, დეპოს და დისტანციაში სამარცხვინო საქმეა; სპეციალისტებს, თითქოს, იმისათვის, არ ესწავლოთ, რომ იმუშაონ სადღაც სადგურზე ან დეპოში. მუშაობა დეპოს, სადგურსა და დისტანციაში პარტიას უაღრესად ღირსეულ მუშაობად მიაჩნია. ძირეული რგოლის უფროსის პოსტზე დანიშვნას ტრანსპორტის თითოეულმა ინჟენერმა და ტექნიკოსმა უნდა შეხედოს, როგორც საპატიო პოსტზე დაწინაურებას საუკეთესო მოწინავე ელემენტებს—რკინის გზის ტრანსპორტის ინჟენერებს და ტექნიკოსებს—ეს ძალიან ეხმარ და ისინი თითონ მიდიან ხაზზე ძირეულ საწარმოო ობიექტზე მუშაობაზე იმ მიზნით, რომ პატიოსნად და ბოლომდის შეასრულონ იქ სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნები, ბოლო მოეღოს ამ შეუწყნარებელ მდგომარეობას, ამასთან უშუალო ხელმძღვანელობას და პასუხისმგებლობას ტექნიკური ნორმირებისათვის აკისრებენ საამქროების ოსტატებს, გზის ოსტატებს, ელექტრომექანიკოსებს და სადგურის უფროსებს.

დეპოს, სადგურების და დისტანციების ხელმძღვანელებს მინიჭებული აქვთ უფლება, კონკრეტული პირობების მიხედვით, ხელფასის დამტკიცებული ფონდების და თვით ღირებულების მხრით მიცემულ დავალებათა ფარგლებში, გააღიდონ ან შეამცირონ გამომუშავების დამტკიცებული ნორმები 10 პროცენტამდის და დააწესოს გამომუშავების და შეფასების ნორმა ერთხელად სამუშაოებზე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ტიპური და დამტკიცებული ნორმებით. ეს გარემოება საგრძნობლად აადვილებს მანევრირების შესაძლებლობას, ამას თან თითეულ ხელმძღვანელს აძლევს ახალ ხერხსა და საშუალებებს შრომის ნაყოფიერების ნამდვილად და სერიოზულად გადიდებისათვის.

კიდევ უფრო მძლავრ ბერკეტს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ზეგავლენის მოსახდენად წარმოადგენს შრომის ახალი პროგრესიულ - პრემიული ანაზღაურება. ახალი პროგრესიულ პრემიული სისტემის გატარება — ეს იმას ნიშნავს, რომ მოვსპოთ გათანაბრება, ბოლო მოვუღოთ სამარცხვინო ჩამორჩენას ხელმძღვანელი პროფესიების შრომის ანაზღაურების საქმეში, საგრძნობლად გავადიდოთ იმ ნამდვილი დამკვრელების ხელფასი, რომლებიც პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობენ და გამუდმებით აღიდებენ შრომის ნაყოფიერებას. შრომის ანაზღაურების მხოლოდ ეს სისტემა სპობს იმის საშუალებას, რომ დავუბრუნდეთ ძველ სტარიფო სისტემას, რომელიც დამყარებული იყო გათანაბრების პრინციპებზე, არ ითვალისწინებდა განსხვავებას კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის და არ უზრუნველყოფდა ხელმძღვანელი პროფესიების შრომის უფრო მაღალ ანაზღაურებას.

იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ძირეული საწარმოო რგოლების განმტკიცებასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის და დაჯილდოების შესახებ. იგი სპობს ისეთ პრაქტიკას, როცა გაბატონებულ პრინციპს წარმოადგენდა დებულება—რამდენადაც უფრო შორს არის მუშაკი დეპოსგან, სადგურისა და სახელოსნოსგან და რამდენადაც უფრო ახლოა იგი კანცელარიასთან, მით უფრო მაღალია მისი ხელფასი.

რკინის გზის ტრანსპორტს მიეცა მოქმედების გაშლილი პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შესრულება ნიშნავს უდაო გამარჯვებების მიღწევას ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ნიშნავს მისი ჩამორჩენის ლიკვიდაციას. სულ ცოცა დრო დარჩა შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვამდის. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდაქმნა არ უნდა დავგვიანდეს არც ერთ დღეს, არც ერთ საათს.

განსაკუთრებული როლი სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის საქმეში ეკუთვნის რკინის გზებზე მოწყობილ პოლიტგანყოფილებებს. ისინი მოწოდებული არიან საქმით გვიჩვენონ, თუ როგორ შეუძლიათ და როგორ უნდა მოაწყონ ბოლშევიკებმა ახალი გამარჯვებანი რკინის გზის მეურნეობის, რთული სისტემის ყველა უბანზე. მათ უნდა უზრუნველყონ სათანადო შედეგების მიღწევა რკინის გზის ტრანსპორტზე შეგნებული პროლეტარული დისციპლინის დანერგვის საქმეში. პოლიტგანყოფილებანი სათავეში უნდა ჩაუდგნენ გარდაქმნის საქმეს; მათ უნდა გაშალონ თვითკრიტიკა და მოაწყონ პარტიის დირექტივების შესრულების სისტემატიური შემოწმება.

ბიუროკრატიული და „ჩინოვნიკური“ ელემენტები ცდილობენ შეაფერხონ გარდაქმნა. ისინი წინააღმდეგობას და საბოტაჟს უწევენ ამ საქმეს. განა ამას არ მოწმობს „პრავდა“-ს 8 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მასალა თუნდაც ოქტომბრის რკინის გზის მეორე რაიონის შესახებ, სადაც ცდილობენ გადადგან გარდაქმნა, შეაფერხონ ინჟენერ - ტექნიკური ძალების გაგზავნა ხაზზე და დეპოში? სხვაგან მაგალითად, მოსკოვ - ბელორუსია-ბალტიის რკინის გზის პირველ რაიონში, სურთ დაკმაყოფილდენ იმით, რომ გაგზავნონ ხაზზე უკვალიფიკაციო, უნიჭო და უინიციატივო ხალხი, რომლებმაც რაიონის ან დირექციის აპარატში დაიმსახურეს სუსტი მუშაკების სახელი.

მწვავედ უნდა დავარტყათ საბოტაჟის პირველსავე ცდებს. ბიუროკრატიული ელემენტების წინააღმდეგობის განადგურება თვით მის ჩასახშირე — სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

(1933 წლის 10 ივლისის „პრავდა“-ს შემოკლებული მეთაური).

რკინის გზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა შესახებ

სა კ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

I.

პოლიტგანყოფილებათა ამოცანები

რკინის გზის ტრანსპორტი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მთავარ ძარღვს, მატერიალურ დასაყრდენს კავშირის დასამაყარებლად ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქებს შორის, ბოლოს, კავშირის დასამაყრებლად ზურგსა და ფრონტს შორის. ამის გამო რკინის გზის ტრანსპორტის შესუსტება, მისი მუშაობის შეფერხება ნიშნავს ამის გამო მთელი სახალხო მეურნეობის შესუსტებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შესუსტებასა და შერყევას.

ახლანდელ მომენტს ახასიათებს ის, რომ რკინის გზის ტრანსპორტზე თავი იჩინა მუშაობის ერთგვარი შესუსტების ნიშნებმა, თავი იჩინა მუშაობის შეფერხების ნიშნებმა. ჯერ კიდევ არ ჩანს, რომ იზრდებოდეს ეს საგანგაშო მოვლენები, მაგრამ ყოველი ეჭვს გარეშეა, ისინი დაიწყებენ ზრდას. შეიძლება ჩვენ აღმოვჩნდეთ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შერყევის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შერყევის საფრთხის წინაშე.

ამის ყველაზე უფრო დიდი საშიშროება არის თვით არა ის, რომ რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში თავი იჩინა შესუსტებისა და შეფერხების ნიშნებმა. ყველაზე უფრო სერიოზული საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ რკინის გზის ტრანსპორტის მუშაკთა დიდი უმრავლესობა ვერ ამჩნევს, ვერ ხედავს ამ საგანგაშო ნიშნებს, ხოლო ვინც ხედავს, ცდილობს მათ მიფუჩეჩებას, არა გამოშკარავებას და აღმოფხვრას, არამედ მათ მიჩქმალვას.

ვინ არის პასუხისმგებელი რკინის გზის ტრანსპორტის დეფექტებისათვის? ცხადია პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, და უმთავრესად, ეკისრებათ რკინის გზის ტრანსპორტის კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს დაწყებული თავიდან, ვიდრე ბოლომდე. კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები და მხოლოდ ისინი არიან მოწოდებული ხელმძღვანელობა გაუწიონ რკინის გზის ტრანსპორტს. ისინივე არიან პასუხისმგებელი მისი მოწუწყობლობისა და მისი მუშაობის შეფერხებისათვის.

კომუნისტების და უპარტიო აქტივისტების ცუდი მუშაობა — ასეთია რკინის გზის ტრანსპორტის ცუდი მუშაობის წყარო.

იმისათვის, რომ რკინის გზის ტრანსპორტი ავიყვანოთ სათანადო სიმაღლეზე და გამოვიყვანოთ იგი ფართო გზაზე, ტრანსპორტის მუშაკებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა აამაღლონ თავისი კვალიფიკაცია, უნდა შეისწავლონ საქმის ტექნიკა, უნდა დაეუფლონ ტექნიკას, უნდა გადაიქცნენ საქმის მცოდნეებად და მის ნამდვილ ბატონ - პატრონებად. ხოლო რა გვაქვს ჩვენ ნამდვილად? ნამდვილად ნახევარ მცდნეობა და ტაქნიკური უმეცრება, როგორც წინათ ახლაც ტრანსპორტის კომუნისტების და უპარტიო აქტივისტების უმრავლესობის ხვედრია. ბევრს ჰმაურობენ და ტრაბახობენ ტექნიკის დაუფლების შესახებ, მაგრამ ტექნიკის ნამდვილ დაუფლებას მაინც ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი.

რკინის გზის ტრანსპორტი ფართო გზაზე რომ გამოვიყვანოთ და აღმოვფხვრათ მისი ნაკლოვანებები, უნდა ავამაღლოთ მასში შეგნებული დისციპლინის და შრომითი შეგიზრების სული, ბოლო უნდა მოვუღოთ ქარაფშუტობას და განვავითაროთ რაც შეიძლება უფრო თითოეულ მუშაკში ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა; უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რკინის გზის ტრანსპორტი მუშაობდეს მკვეთრად და შეუფერხებლად, როგორც საათის მექანიზმი. ხოლო რა გვაქვს ნამდვილად? ნამდვილად ქარაფშუტობა და დაუდევრობა, შრომის სუსტი დისციპლინა და შეფერხება ტრანსპორტის მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. უფრო მეტი, კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები ხშირად არა თუ წინააღმდეგობას არ უწევენ გამცდენებს და შრომის დიციპლინის სხვა დამრღვეველებს, არამედ, პირიქით, თითონ არიან ზარმაცები და გამცდენები.

ტრანსპორტი ფართო გზაზე რომ გამოვიყვანოთ და სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ, სისტემატიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ კლასობრივ მტრებთან ტრანსპორტზე, კულაკებსა და სხვა მავნებლებთან; უნდა ჩავუნერგოთ ტრანსპორტის მუშაკებს რევოლუციური სიფხიზლის გრძნობა, გაბედულად უნდა ვამხილოთ ნაკლოვანებები ტრანსპორტის მუშაობისა და ამოვწვათ ისინი პატოსანი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლით. ხოლო რა გვაქვს ნამდვილად? ნამდვილად ჩვენ გვაქვს პოლიტიკური სიბრმავე და გულუბრყვილო დამოკიდებულება მავნებლების და სხვა კლასობრივი მტრების მიმართ; თვითკრიტიკის უქონლობა და მუშაობაში ჩადენილი შეცდომების მხდალად მიჩქმალვა — ჯერ კიდევ ჩრდა ტრანსპორტზე მომუშავე ბევრი და ბევრი კომუნისტისა და უპარტიო აქტივის დამახასიათებელ თვისებად.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სანამ დარჩება ეს აღმოუფხვრელი ნაკლოვანებები ტრანსპორტის კომუნისტების და უპარტიო აქტივისტების მუშაობაში, აუცილებლად ექნება ადგილი შეფერხებას და ნაკლოვანებებს თვით ტრანსპორტზეც.

რომ გამოვიყვანოთ ტრანსპორტი განვითარების ფართო გზაზე და ავიყვანოთ იგი სათანადო სიმაღლეზე, უნდა მოვსპოთ ეს სამარცხვინო ნაკლოვანებები ჩვენს მუშაობაში.

პოლიტგანყოფილებები რკინის გზის ტრანსპორტზე იქმნება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას და დაჩქარდეს ამ უაღრესად აქტუალური ამოცანის გადაჭრა.

პოლიტგანყოფილებათა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დარწმუნების საფუძველზე, ორგანიზაციული და იდეური - პოლიტიკური ზემოქმედების ზომებით უზრუნველყონ „შეგნებული რკინისებური დისციპლინის“ (ლენინი) შექმნა, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ახალი მძლავრი გაშლა, აიყვანონ უმაღლეს დონეზე პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა რკინისგზელ მუშა - მოსამსახურეთა შორის.

ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებათა ამოცანა შემდეგ მდგომარეობს იმაში, რომ გაშალონ ბრძოლა კლასობრივად უცხო და მტრული ელემენტების (საბოტაჟის გამწევთა, ქურდების, წამგლეჯების, ზარმაცებისა და სხვ.). წინააღმდეგ, გამოაშკარაონ, გამომაქვეყნონ და გააძეონ ისინი რკინის გზის ტრანსპორტიდან, გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მტაცებლობის წინააღმდეგ, უზრუნველყონ სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების მტკიცედ დაცვა და მისდამი მოფრთხილებული მოპყრობა.

პოლიტგანყოფილებათა ამოცანა შემდეგ მდგომარეობს იმაში, რომ მოაწყონ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების მიერ რკინის გზის ტრანსპორტის ტექნიკის ნამდვილად დაუფლების საქმე, დაეხმარონ მათ თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაში და, ამგვარად, მისცენ მათ საშუალება გახდენ მათთვის ჩაბარებული საქმის ნამდვილ ბატონ-პატრონებად.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიდან, იმ ოპორტუნისტული და სოციალურად უცხო ელემენტების გამომჟღავნებით და დაუნდობლად გაძევებით, რომლებიც პარტიულ ბილეთს ამოფარებულნი აწარმოებენ დამარღვეველ მუშაობას, პოლიტგანყოფილებებმა უნდა აამაღლონ პარტიულების და უპარტიო აქტივისტების იდეურ - პოლიტიკური დონე, მათი ხელმძღვანელი როლი ტრანსპორტზე, ამასთან შექმნან და შეამჭიდროვონ პარტორგანიზაციების გარშემო სრულიად საბჭოთო საზოგადოებრიობის ფართო აქტივი.

რკინის გზის ტრანსპორტის უფროსი დარგში პარტიული თვალის და კონტროლის უზრუნველყოფასთან ერთად პოლიტ - განყოფილებებმა უნდა აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა თვითკრიტიკის შიშთან და კანცელარიულ - ბიუროკრატიულ მეთოდთან რკინის გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობაში, მიაღწიონ გარკვეულ ოპერატიულ მუშაობას, ყველა რგოლის უცილობელ შემსრულებლობას და პასუხისმგებლობას, აღმოჩენილი შეცდომების და დეფექტების აუცილებლად და დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

II.

დებულება პოლიტგანყოფილებათა შესახებ

1. პოლიტგანყოფილებათა უფლებანი და მოვალეობანი

ა) პოლიტგანყოფილებანი პარტიული კომიტეტების უფლებებით ხელმძღვანელობას უწევენ ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, კანდიდატთა ჯგუფებს და თანამგრძნობთა ჯგუფებს რკინის გზის ტრანსპორტზე, მათ შორის პარტიაში მიღებასაც.

ბ) პოლიტგანყოფილებანი ანაწილებენ პარტიულ კადრებს ტრანსპორტზე, ამტკიცებენ უჯრედთა მდივნებს, აწარმოებენ კომუნისტების გადაყვან-გადმოყვანას.

გ) პოლიტგანყოფილებათა უფროსები უთანხმებენ თავის მუშაობას ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, რაიკომს, საოლქო კომიტეტს, ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტს, რომლებიც თავის მხრით ვალდებულნი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ პოლიტგანყოფილებებს მათ მუშაობაში; გარდა ამისა მათ შორის მუდმივი კავშირის დამყარების მიზნით, პოლიტგანყოფილებათა უფროსები შედიან სათანადო პარტიული კომიტეტების რაიკომის, საოლქო კომიტეტის, ნაცკომპარტ. ცენტრ. კომიტეტის) შემადგენლობაში.

დ) საკონტროლო კომისიების ფუნქციები რკინის გზის მუშაკ კომუნისტების მიმართ გადადის რაიონების და გზების პარტკომისიებში, რომლებიც სპეციალურად ეწყობა პოლიტგანყოფილებებთან და რომლებსაც ნიშნავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია.

2. პოლიტგანყოფილებათა სტრუქტურა

ა) გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველო

გზათა სახალხო კომისარიატში ეწყობა პოლიტსამმართველო უფროსის, მისი მოადგილის და ორი თანაშემწის შემადგენლობით.

პოლიტსამმართველოს უფროსი არის გზათა სახალხო კომისრის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში და ექვემდებარება როგორც სახალხო კომისარს, ისე უშუალოდ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველო ხელმძღვანელობას უწევს გზების და რაიონების პოლიტგანყოფილებათა მუშაობას.

გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ბ) რკინის გზის პოლიტგანყოფილება

რკინის გზის პოლიტგანყოფილება ეწყობა უფროსის, მისი მოადგილის და ერთი თანაშემწის შემადგენლობით.

რკინის გზის პოლიტგანყოფილების უფროსი არის გზის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ მუშაობაში და მაგე დროს ექვემდებარება გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსს.

რკინის გზის პოლიტგანყოფილების უფროსი უწევს ხელმძღვანელობას რაიონების პოლიტგანყოფილებების დეპოების ქარხნების და უმნიშვნელოვანესი სარკინისგზო კვანძების პარტორგებს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსის წარდგინით.

გ) სახალხო კომისარიატის ქარხნების შესახებ

უმნიშვნელოვანეს სარკინისგზო პუნქტებში, კვანძებსა და გზათა სახალხო კომისარიატის ქარხნებში (ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული სიით) შემოღებულია პარტორგების ინსტიტუტი, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან გზის პოლიტგანყოფილების უფროსს. სარკინისგზო კვანძების და ქარხნების პარტორგებს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსის წარდგინით.

სა კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

1933 წ. 10 ივლისი.

გურჯუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს

ამხ. ლიტვინოვის უდიდესი გამარჯვება

უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი

ლონდონი, 9 ივლისი. თურქეთის პრესა, ეხება რა ლონდონის კონფერენციის დადებას, აღნიშნავს, რომ მთს ბაზას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინადადებანი, რომელნიც ერთ დროს უარყოფილ იქნენ უენევაში.

გაზეთ „მილიეთის“ ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს: ლონდონის კონფერენცია, რომელმაც თავიდანვე არაფერი არ მოგვცა, გამოყენებულ იქნა უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური აქტებისათვის. ამ აქტებს, კორესპონდენტის აზრით, წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობის მოგვარება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და მცირე ანტანტის ქვეყნებს შორის დადებული კონვენციის ხელის მოწერა.

გაზეთი „ეკონომისტი“ კონვენციას დიდ წარმატებად სთვლის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმისათვის ამასთან იგი აღნიშნავს—თურქეთს შეუძლია იამაყოს იმით, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები გაერთიანდნენ თურქეთ-საბჭოთა კავშირის ფორმულის გარშემო, რომლის განხორციელების საქმისათვის ლიტვინოვთან ერთად მუშაობდა თევფიკ რუშთი-ბეი.

ორიგე გაზეთის აზრით, კონვენციის ხელისმოწერა წარმოადგენს არა მარტო ახალ ფაზას საბჭოთა კავშირის და მცირე ანტანტის ურთიერთობაში, არამედ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებასაც (ადს).

გერმანია ემზადება ომისათვის

პარიზი, 9 ივლისი. „ურურნალს“ მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ შეიარაღების გაძლიერებას და ომისათვის მზადებას გერმანიაში. ასე მაგალითად:

1. იურიდიული ფაკულტეტის ყველა სტუდენტმა ამიერიდან სამხედრო მომზადების სტაჟი უნდა გაიაროს ბანაკებში.

2. საიმპერიო მთავრობამ აკრძალა მსხვილი მამულების დახაწილება, რომ შესაძლებლობა მიეცეს ომის შემთხვევაში აღმოსავლეთის პროვინციებში დაარსებულ ქარხნებში გაშალოს ქერის მოყვანა გერმანიის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის.

3. ავიაციის მინისტრმა გერინგმა სავაჭიო კომპანია „ლიუფტჰანზას“ გადასცა 13 მილიონი მარკის შეკვეთა თვითმფრინავების შეწრენებლობისათვის და სავაჭიო კომპანიებისათვის, სუბსიდიებად 1933 წელს დაამტკიცა 25 მილიონი მარკა. ავიაციის მინისტრო ზეგავლენას ახდენს მუნიციპალიტეტებზე, რათა აიძულოს ისინი თავიანთ ხარჯზე ააშენონ თვითმფრინავები. გარდა ამისა, გერმანიის სამხედრო ავიაციის განკარგულებაში ხაზინის მიერ გადაცემულია მსხვილი ფულადი ფონდები.

4. ფაშისტური ორგანიზაციების ინიციატივით. ქმნიან ახალგაზრდა მფრინავთა გასაძნედრებულ რაზმებს.

5. გერმანიის საფიგჭრო მრეწველობა მთელი დატვირთვით მუშაობს იმ დროს, როცა საფიგჭრო ნაწარმის ექსპორტი უმნიშვნელოა, ხოლო გერმანიის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა არ იძლევა საშუალებას გაფართოებულ იქნას გასაღების შინაური ბაზარი. გაზეთი ამტკიცებს, რომ საფიგჭრო ფაბრიკები უმთავრესად ამზადებენ მაუდს სამხედრო საჭიროებისათვის.

6 „ბერლინ-კარლსრუეს“ ფირმამ განაახლა ომამდის არსებული თავისი სახელოსნოები „სამხედრო მომარაგების გერმანიის ქარხნები“ და თავისი ანგარიშში აღნიშნავს „სპეციალურ სერიოზულ შემობრუნებას“, რაც მოხდა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის შემდეგ.

ოლღას კონცხის სანაპირო რაზმის მოქმედებათა გამოძიება

კამჩატკის პეტროპავლოვსკი. 9 ივლისი აღმოაჩინეს სანაპირო რაზმის პირადი შემადგენლობა, რომელსაც ბრალდება ოლღას კონცხზე მომხდარი ინცინდენტი. რაზმის შემადგენლობა დაპატიმრებულია და გაიგზავნა პეტროპავლოვსკში. სწარმოებს პოსტისა და მისი უფროსის მოქმედების გამოძიება. დაპატიმრებულია აგრეთვე კამჩატკის სანაპირო რაზმის უფროსი კისელიოვი. (ადს).

შრომის უკუყევი დისციპლინა რკ. გზის ტრანსპორტზე

ს ს.რ.კ-ს რკინის გზის ტრანსპორტისა შუა - მოსამსახურეთა დისციპლინის შესახებ

მოსკოვი, 9 ივლისი. სსრკ-ს ცკ.ის და სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულია წესდება სსრკ-ს რკინის გზის ტრანსპორტის მეშა-მოსამსახურეთა დისციპლინის შესახებ.

რკინის გზის ტრანსპორტი უმნიშვნელოვანესი ნაწილია სსრკ-ს მთლიანი სოციალისტური მეურნეობისა. მის მართებული და შეუფერხებელ მუშაობაზეა დამოკიდებული სოციალისტური მშენებლობის წარმატებული სვლა, მთელი სახალხო მეურნეობის სწორი ფუნქციონირება, სსრ კავშირის კულტურული განვითარება და თავდაცვის-უნარიანობა. რკ. გზის ტრანსპორტის მუშაკთა მიერ თავის მოვალეობათა ყოველი დარღვევა წარმოადგენს საფრთხეს რკინის გზით მომავალი ადამიანებისათვის, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის ტვირთით დროულად და წესიერად ჩაბარებისათვის, იმ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, რომელიც ტრანსპორტისათვის მთვლდვით, აგრეთვე სსრკ-ს თავდაცვისუნარიანობისათვის. ამიტომ რკინის გზის ტრანსპორტზე „შრომის რკინის დისციპლინა“ აუცილებელია „ერთიორად და ერთისამად“ (ლენინი). შრომის დისციპლინა რკინის გზებზე—ეს არის ის, რომ მუშა - მოსამსახურეებმა შეგნებულად და ზუსტად შეასრულონ თავისი მოვალეობა, სიტყვა შეუბრუნებლად და სწრაფად შეასრულონ თავისი უფროსების ბრძანებანი და განკარგულებები. სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე დამყარებული შრომის დისციპლინის მიზანია რკ. გზის ტრანსპორტის თითოეულ მუშაკში განამტკიცოს შრომისადმი, როგორც „ღირსების, პატივისების, სიმამაცისა და გმირობის საქმისადმი“ (სტალინი) შეგნებული დამოკიდებულება. შრომის დისციპლინა ვალდებულს ხდის რკინის გზის ტრანსპორტის თითოეულ მუშაკს: კარგად იცნობდეს თავის საქმეს და გამოძმებით აუმჯობესებდეს ამ ცოდნას; ზუსტად ასრულებდეს სამსახურებრივ მოვალეობებს და ინერგავდეს აუცილებელ ინიციატივას; განუხრელად იცავდეს ყველა განკარგულებასა და წესებს; სწრაფად და ზუსტად ასრულებდეს ყველა განკარგულებას; უფროსებისდებოდეს რკინის გზის ქონებას; ახორციელებდეს გამომუშავების ნორმებს; მოსახოვის ხელმი იმ პირებს, რომელნიც ტრანსპორტით სარგებლობენ, მიმოსვლის ყველა წესის ზუსტად შესრულება და სასტიკად დაიცვას სამსახურის ხაზით მინდობილი სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოება.

თანახმად წესდებისა, რკინის გზაზე არ მიიღებიან განკუთვნილებულნი და საარჩევნო ბმა ჩამორთმეულნი, აგრეთვე ისინი, რომელნიც სამართალში ყოფილან მიცემულნი კრიმინალურ-იურიდიული და ანგარებითი დანაშაულობისათვის.

შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას მოსდევს დისციპლინარული სასჯელი ან სამართალში მიცემა. ამასთან ერთად, შრომის დისციპლინის ისეთი დარღვევა, რომელიც არ შეიცავს ბრალდებულობის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობის ან სხვა ისეთ ნიშნეულობას, რასაც სამართალში მიცემა უნდა მოჰყვეს—უთანაბრდება სამსახურებრივ დანაშაულს.

რკ. გზის ტრანსპორტის მუშაკებისადმი შეიძლება გამოყენებულ იქნას შ

პარტიული მშენებლობა

საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობა მთლიანად უნდა გარდაიქმნას საწარმოო პრინციპების მიხედვით

სოფ. განათლების საკოლმეურნეო უჯრედი იბრძვის ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის

(ლაგოდეხის რაიონი)

ეს იყო სავაზაფხულო თესვის დაწყების წინა. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები ემზადებოდნენ ბოლშევიკური გაზაფხულისათვის. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილება ამოწმებდა კოლმეურნეობების და საკოლმეურნეო პარტიული უჯრედების მზადყოფნას თესვისათვის. შემოწმების იქნა სოფ. განათლების საკოლმეურნეო უჯრედის მუშაობა. გამოირკვა საშუალო მდგომარეობა: უჯრედი ვერ უწევდა ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებს, კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა გაუპატიოსნებას, არ იყო გამოყოფილი და მომაგრებული ნაკვეთები საწარმოო საკოლმეურნეო ბრიგადები, არ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. პარტიულ-მასობრივი მუშაობა და საკოლმეურნეო აქტივთან მუშაობა უჯრედს მიეწყებული ჰქონდა. უჯრედმა მოადუნა კლასობრივი სიფხიზლე, ვერ გამოააშკარავა, რომ „ოქტომბრის“ სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. ჰარასტაევი თვალთმაქცობდა, ატყუებდა რაიონულ ორგანიზაციებს, უჯრედმა ვერ დაინახა, რომ კოლმეურნეობის საწყობის გამგეებმა ხ. ტალახაძემ და ლ. პარასტაევმა გაანიავეს კოლმეურნეობის კუთვნილი 88 ფ. ხორბალი და 23 ფ. სიმინდი.

ყველაფერი ეს გამომამუღავნა პოლიტგანყოფილების ფხიზელმა თვალმა. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები უჯრედის მუშაობის გასაჯანსაღებლად. დამნაშავენი გამორიცხეს კოლმეურნეობიდან და მისცეს პასუხისგებაში. პოლიტგანყოფილებამ მისცა უჯრედს მითითება გარდაექმნა მუშაობა სპ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 22 მარტის დადგენილების საფუძველზე, ამავე დროს მიიმაგრა უჯრედს ერთი მუშაკი საჭირო დახმარების გასაწევად.

საგაზაფხულო თესვა იყო გამოცდა, თუ როგორ მოახდენდა უჯრედი არსებული დეფექტების აღმოფხვრას და მუშაობის გარდაქმნას.

სოფ. განათლების საკოლმეურნეო უჯრედი აერთიანებს 12 კომუნისტს, აქედან 11 კომუნისტი „ოქტომბრის“ სახ. კოლმეურნეობაში მუშაობს, ხოლო ერთი კომუნისტი კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“, „ოქტომბრის“ სახ. კოლმეურნეობაში პარტიული ძალები განაწილებულ იქნა შემდეგ სამუშაოებზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მოანგარიშე, ორი ბრიგადის ხელმძღვანელად ბრიგადაში, ქალთა შორის მომუშავე და ერთი მიმაგრებული იქნა კომკავშირის უჯრედზე. ჩამოყალიბდა 2 მოძრავი საწარმოო ბრიგადა, ბრიგადები მიაბგრებულ იქნენ მიწის ნაკვეთებზე და მიეცათ საწარმოო დავალება. თვითეულ ბრიგადაში მოეწყო პარტბეკეთები და გამოყოფილ იქნა ბრიგადირები.

აღრიცხულ და განაწილებულ იქნა ბრიგადებში მუშა-ხელი: მამაკაცი—80, ქალი—75, მოზარდი—35.

„ოქტომბრი“-ს სახ. კოლმეურნეობამ წარჩეტებით ჩაატარა საგაზაფხულო თესვა. უნდა დათესილიყო სხვადასხვა კულტურები 57 ჰექტარზე, დაითესა 60,5 ჰექტარზე, აქედან თაშმაქო 26 ჰექტ., ბარდა ამასა კოლმეურნე ქალებს დავალებული ჰქონდათ 5 კოლოფი აბრეშუმის ჭიის მოშენება. ისიც შესრულდა.

მიღწევაც თესვის დამთავრება არ არის საკმარისი. მთავარი ამოცანაა—თაშმაქოს და ხორბლეულის მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის კი საჭიროა ნათესების სოუკეთესო მოვლა-დამუშავება. პარტუჯრედმა ამ საკითხზე გაასხვილა ყურადღება. თაშმაქოს დარგვებზე ხელმძღვანელობენ მომგრე-ბულ იქნენ ამ დარგში გამოცდილი საუკეთესო კოლმეურნეები: გ. გოზალიშვილი (პარტწევრი), ა. მარგიევი, ზ. ჯაბანშვილი და ნ ბეგბეგიევი. თაშმაქოს ჩითილები დამზადდა საბანურებში ნიადაგი თაშმაქოს გადასარგებლად მომზადდა წინასწარ და გაწოყიერებულ იქნა ტყის მიწით და ნაკელით. თაშმაქოს გადარგვა უკვე დამთავრებული იყო 5 მაისს ე. ი. 20 დღით ადრე რაიონის სხვა კოლეუნეობებთან შედარებით. 20 იგნისს დაიმთავრეს თაშმაქოს მეორე გათხნისა და დაიწყეს პირველი შეტენება (დიბი), მაშინ, როცა რაიონის სხვა კოლმეურნეობებში 4 ივლისისათვის თაშმაქოს მეორე გათხნისა არ იყო დამთავრებული. ენერგიულმა მუშაობამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. „ოქტომბრი“-ს სახ. კოლმეურნეობის თაშმაქოს ნათესებმა რაიონში პირველი ადგილი დაიჭირა, თუმცა კოლ-

ამხ. დ. ოსტაევი ლაგოდების რაიონის სოფ. განათლების საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივანი

მეურნეობა საშინაო ბაზრისათვის მეტად ღირებული კულტურის—თაშმაქოს მოყვანაზე ორიენტირებული არ არის. ამიტომ ამ კულტურის ფართობის გაზრდა ნაკლებ სასურველია. ამ ფართობის ნაწილი უნდა დაეთმოს ისეთ კულტურებს, რომელთა მოყვანაც ხელსაყრელია მეურნეობისათვის. ასეთ კულტურებს მიეკუთვნება ბოსტნეული, ბოსტნეულის მოყვანა ხელსაყრელია მეურნეობისათვის, რადგან ბოსტნეულის ბაზარი ახლოა. საზაფხულო პარტ განათლების ქსელში ჯერ კიდევ არ არის დაწყებული ნორმალური მეცადინეობა. კანდიდატთა შორის მუშაობა თვითმიმდინარეობაზეა დამყარებული. აწყობენ საკანდიდატო დღეებს. მიუხედავად საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკ.კ.პ.(ბ) ა.კ. სამხრეთ კომიტეტის საეციალური დადგენილებისა „კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გაწევისა და დახმარების შესახებ“, ნაფარეულის კომკავშირის ორგანიზაციის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობა სუსტად არის მიჩნეული. კ.კ. უჯრედზე მიმაგრებულია ამხ. კ. ზაბორეუენკი, რომელიც მხოლოდ კრებებზე „ესწრება“ და კონკრეტულ, ოპერატიულ დახმარებას არ უწევს კ.კ. ორგანიზაციას მუშაობის ყოველდღიურად გაძღოველებაში.

მეურნეობაში სოციშეჯიბრება და დამკვრელობა არა არის გამოყენებული. დამკვრელმა მუშებმა ამხ: მიდელეიშვილმა, ვ. მოსიაშვილმა, შ. ბოლოლაშილმა, შ. გეგრდელაშვილმა და ამ. გეგრდელაშვილმა აიღეს ინიციატივა გაემართათ მეურნეობაში, სოციშეჯიბრება მაგრამ მათ ინიციატივას ადგილობრივმა პარტ-ორგანიზაციამ ყურადღება არ მიაქცია.

პარტუჯრედის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება თვითმდინარეობაზეა დაყრდნობილი. მეურნეობაში არა ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი. პარტუჯრედის საკრძნობი ნაწილი დაბანდებულია აღმინისტრატ. სამეურნეო თანამდებობებზე. მეურნეობაში პოლიტ განათლების საკოლმეურნეო უჯრედის მუშაობა ცუდად არის დაყენებული. მეურნეობის კანტორის მუშაობა, ბუღალტერები ეწევიან მეჭოთამეობას. არ ხდება ჩატარებული მუშაობის ალრიცხვა. მეურნეობის სამკუთხედმა არ იცის—მეორე კვარტალში მეურნეობა როგორ ასრულებს საწარმოო დაგეგმებს.

ნაფარეულის მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანას წარმოადგენს დაუყოვნებლივ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ახალ პირობებსა და მოთხოვნილებებთან შეფარდებით. პარტიულმა უჯრედმა, როგორც პარტიული მოშმობის დასაყრდენმა პუნქტებმა, პარტიული მუშაობის დაღებითი მაგალითები უნდა უჩვენოს რაიონში შემავალ პარტიულ უჯრედებს.

ა. ალიგებაშვილი.

საბაზო უჯრედი სამარცხვინოდ მუშაობს

(თელავი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

საბაზო პარტიული უჯრედების საბრძოლო ამოცანაა—სანიმუშოდ დააყენონ პატმასპრივი მუშაობა, გადაიტანონ თავიანთი გამოცდილება სხვა უჯრედებში სოფლად და ქალაქში. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ საბაზო პარტიულ უჯრედებს მიეკუთვნება ალ. ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობის პარტიული უჯრედი. ეს უჯრედი ერთ-ერთი საუკეთესო უჯრედია ქალაქში. ის ხელმძღვანელობს ალ. ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადებს, ქალაქის ორ ქარხანას, ორ საბჭოს და ერთ სკოლას. ამ უჯრედის ხელმძღვანელობით ალ. ჯაფარიძის სახ. კოლმეურნეობა ბრწყინვალედ ჩაატარა ზაფხულის სამუშაოები

გარდამავალი რკ. გზის ტრანსპორტის მუშაობა

ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე

„შემდეგში შეუძლებელია ისეთი მდგომარეობის მოთმენა, როცა რკინის გზის ტრანსპორტის საინჟენერო - ტექნიკურ მუშაკთა ოჩი მესამედი ზის რაიონების, დირექციების და გზათა სახალხო კომისარიატის კანცელარიებში, ხოლო ხაზზე კი დარჩა ტრანსპორტის საინჟენერო - ტექნიკურ მუშაკთა შემადგენლობის მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილი".

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილებიდან).

„მზად ვართ წავიდეთ ხაზზე სამუშაოდ"

(ჭიათურის კვანძის ინჟენერ-ტექნი კოსთა კრებაზე)

სკპ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილებაში ნათლად გაარკვიეს რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის ყველა სხუტი მხარე, საჭირო იყო პარტიის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ჩარევა საქმეში, რომ ტრანსპორტის ხელმძღვანელებს დაენახათ ამარაში მართვა-გამგეობის წესით ფეხვეზგადგმული ფორმებისა და აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის სიმახინჯენი.

3 ივლისის ისტორიულმა დადგენილებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები სატრანსპორტო მეურნეობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

რკინის გზის რაიონების, დირექციების და თვით კომისარიატის აპარატში თავი მოეყარა ინჟენერ-ტექნიკოსების ორმოცამედ და ხაზი ამ დროს კვალიფიციური კადრების დიდ სიმცირეს განიცდიდა. კერძოდ, ამიერკავკასიის რკინის გზებზე ექსპლოატაციის 120 ინჟენერიდან ხაზზე მხოლოდ ორი მუშაობდა, 414 ინჟენერ-მექანიკოსიდან დეპოში მუშაობდა მხოლოდ სამი.

დღეს ამ მდგომარეობიდან თავის დასაწევი საშუალება მოცემულია. პარტიის ცეკას და სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილება გვიჩვენებს ტრანსპორტის გადაჭრით გაჯანსაღების გზას.

რკინის გზელთა ფართო მასებში ამ უმნიშვნელოვანესმა დოკუმენტმა უდიდესი გავლენა მოახდინა. მუშები ამუშავებენ ამ დადგენილებას, დეტალურად არჩევენ მის ყოველ პუნქტს და ირაზმებიან ცხოვრებაში სასწრაფოდ მისი გატარებისათვის.

ინჟენერ - ტექნიკოსები ჩამორჩნენ მუშებს, მათ დაკვალიანდათ დოკუმენტის დამუშავება, ექვსი დღის განმავლობაში მათი ხმა არ ისმოდა.

დღეს ეს სიჩუმეც დარღვეულია. 9 ივლისს შეკრებილმა ტფილისის რკინის გზის კვანძის 350 სპეციალისტმა თქვა თავის სიტყვა დადგენილების შესახებ.

სავსე აუდიტორია დაძაბული ყურადღებით უსმენდა გზის პარტორგანიზატორს ამხ. ჭოკრაშვილაძეს, რომელიც მოხსენებას აკეთებდა 3 ივლისის დადგენილების შესახებ. არაჩვეულებრივი ინტერესით და აქტივობით მიეკიდენ კვანძის სპეციალისტები ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილების დამუშავებას და ეს აქტივობა, ეს უდიდესი ენტუზიაზმი ემსჭიდოდათ არა მარტო კომუნისტ და ახალგაზრდა სპეციალისტებს, არამედ ძველ ინჟენერ - ტექნიკოსებსაც, რომლებიც ტრანსპორტზე ათეული წლებია მუშაობენ.

ტრიბუნაზე მრავალმა ორატორმა შეცვალა ერთმანეთი. აუდიტორიის წინაშე გაიარეს მაღალრთ მოსილმა ინჟენრებმა და ახალ-გაზრდა სუნგუროვის მამა), გამოსვლა. მას ახალ-გაზრდა სპეციალისტებმა მიჰქცა. ახალგაზრდა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ მზად არიან წავიდნენ სამუშაოდ ხაზზე და მოუწოდეს უფროს ამხანაგებს მიბაძონ მათი მაგალითისათვის.

ტრიბუნალზეა ახალგაზრდა ინჟენერ-მექანიკოსი ამხ. ჩლაიძე.

— მე ახალგაზრდა სპეციალისტი ვარ, — ამგვარს ის — ინსტიტუტის დამთავრების პირველ დღეებიდან კანცელარიაში მოვხვედი. გამოუცნებული ვიყავი არა პირდაპირი დანიშნულებით, ჯერ ვმუშაობდი საგზაო კომიტეტში, ახლა კი ინჟენერ-ტექნიკოსთა საბჭოში. ბიუროში მარხსენებს ყველა პარტიული ორგანიზაციის გარდაქმნას სოფლად, მით უფრო ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, ჩვენი პარტიის აგების პრინციპი ივსება საწარმოო პრინციპებით.

ღონისძიებებმა, რომლებიც დღეს სოფლად ტარდება, ყველა ახლად სავსებით გაამართლეს თავის თავი. ამ გადაწყვეტილებებს განსაკუთრებით იმ გადაწყვეტილებას, რომ წელს ზაფხული დამზადება ბევრად უფრო ადრე დამთავრდეს. მხარი უნდა დავუჭიროთ მთელი ძალღონით, ჩვენი ბოლშევიკური ძველი გვარდიის მთელი ავტორიტეტით. ჩვენი პარტიის მთელი ავტორიტეტით რადგან ისი, როგორც არასდროს, ამუშად ბრძოლა მასსებისათვის, დროზე და კვალიფიციურად მასი ალებისათვის, შენახვისათვის. ხახელმწიფოსათვის მარცვლეულის თავის დროზე ჩაბარებისა და კოლმეურნეობებში შემოსავლის სწორად განაწილებისათვის მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს.

ჩვენი მრეწველობის დარგშიც, ამხანაგები, მიუხედავად მუშაობის ცალკე სერიოზული დეფექტებისა, რომლებიც ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა აღმოვფხვრათ, ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივღწიეთ. მე ამხ. ჩლაიძის მოწოდებას ვიმე გამოეხმაურა მისებრ ახალგაზრდა ინჟენერი . ამხ. სუნგუროვი.

— მე ვიღებ ამხ. ჩლაიძის გამოწვევას და მზად ვარ წავიდე სამუშაოდ ხაზზე — განაცხადა მან.

ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ისინი დირექციის და რაიონის აპარატში მოხვედრით მოკლებული იყვნენ საწარმოო პრაქტიკას და დასძენდნენ, რომ ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება ახლა საშუალებას აძლევს მათ განამტკიცონ ინსტიტუტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული მუშაობით.

მოხუცებიც არ ჩამორჩნენ ახალგაზრდებს. დამახასიათებელი იყო ძველი ინჟენერის ამხ. სუნგუროვის მამა), გამოსვლა. მას ტრანსპორტზე მუშაობის 50 წლის სტაჟი აქვს და ეს მოხუცი, თითქოს დღეს ხელმეორედ დაიბადაო, ახალგაზრდული ენტუზიაზმით გამოდის ტრიბუნაზე და გადასძახის შვილს — „მეც მზად ვარ წავიდე ხაზზე სამუშაოდო".

უძველესი სპეციალისტი ამხ. თუმანოვი ამბობს: „თუ წინათ გზათა სახ. კომისარიატის დადგენილების საფუძველზე წარმოებული ცვლილებანი ხაზზე სრულიად ვერ ცვლიდა, ახლა ეს ცვლილებანი ხაზზე ძალიან ბევრს ცვლის,

დასვენების დღე

მოვაწყოთ მუშათა კულტურული დასვენება

ორჯონიკიძის რაიონის მუშა-აგიტატორების მასობრივი გასვლა ქალაქგარეთ

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი 12 ივლისს აწყობს სარაიონო პარტმუშაკების, პარტორგების, ჯგუფორგების, უჯრედების, მდივნების და ძირეულ ორგანიზაციების მუშა - აგიტატორების მასობრივ გასვლას ქალაქგარეთ — მცხეთაში;

მასობრივ დასვენებასთან ერთად პარტმუშაკებს შორის დამუშავდება ძირეული აგიტაციის საკითხები, რისთვისაც მოეწყობა ჯგუფური თათბირები.

პარტმუშაკებისათვის კულტმომსახურების გასაწევად ვოროშილოვის სახელობის კლუბი მცხეთაში აწყობს სპეციალურ შეხვედრას.

ამხანაგების ჩასვლამდე სადგური და დასასვენებელი ადგილი მორთული იქნება დასამუშავებელი თემის შესაფერი პლაკატებითა და ლოზუნგებით. თათბირების დაწყებამდე გაიმართება კონცერტი. შემდეგ მოეწყობა სიმღერა, ცეკვა, თამაში ფეხბურთი, ხელბურთი და სხვ., მოეწყობა აგრეთვე პოლიტლოტო და, პოლიტვიქტორინა. პოლიტვიქტორინაში გამარჯვებულები დაჯილდოვებული იქნებიან.

დამსვენებლებს კულტმომსახურებას გაუწევენ კლუბის თვითმმართველი წრეები. ამას გარდა ჩატარდება საუბრები მეცნიერება - ტექნიკის და მედიცინის საკითხებზე. დასვენების ადგილზე გამოიცემა ნაბეჭდი და კედლის გაზეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დასვენების მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის რაიპარტორგანიზაციას. ვოროშილოვის სახელობის კლუბს კი, რომელმაც კულტურული მომსახურება უნდა გაუწიოს ორჯონიკიძის, რაიონში შემავალი წარმოება - დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეებს, ამ მხრივ მუშაობა ჯერ არც კი გაუშლია. მას აქამდე არ მოუწყვია თავის წევრთა მასობრივი გასვლა ქალაქგარეთ, რაც უთუოდ მის სისუსტეს მიეწერება. ასეთ დასვენებას კლუბი აწყობს 18 ივლისს, საჭიროა ამისათვის ახლავე გაიმართოს მოსამზადებელი მუშაობა, რათა დასვენება მართლა უნაკლოდ მოეწყოს.

ა. ნ—ძე.

კლუბები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მუშათა კულტურულ დასვენების მოწყობაში

მუშათა კლუბების მუშაობის, ერთ მთავარ ობიექტს ზაფხულის პერიოდში მშრომელთა მასობრივი, კულტურული დასვენების ორგანიზაცია წარმოადგენს.

ამ საკითხზე საქართველოს პროფსაბჭოს კულტსექტორთან ივნისის პირველ რიცხვებში მოწვეული იყო სპეციალური თათბირი, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებები ზაფხულის პერიოდში მუშათა ორგანიზებული, მასობრივი დასვენების სისტემატიურად მოწყობისათვის. მუშათა კლუბებს, მიეცათ სათანადო მითითებები ამ საქმის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად.

ტფილისის ზოგიერთმა კლუბმა კიდეც ჩაატარა პირველი მუშაობა ამ მხრივ. ვოროშილოვის, ორჯონიკიძის სახელობის და ტრამვაის კლუბებმა გამოსასვლელ დღეებში, მოაწყეს მუშაობის და მათი ოჯახის წევრების დასვენებები თავის ბაღებში.

მასობრივი დასვენებები ამ კლუბებში ჩატარდა მასების პოლიტ-ცოდნის შემოწმების ნიშნის ქვეშ. ამ კლუბებში მოწყობილმა მასობრივმა დასვენებამ კარგი შედეგები გამოიღო. დამსვენებლებისათვის მოწყობილი იყო კულტურული გართობის ყველა ფორმები,

მაგრამ კლუბების ნაკლს შეადგენს ის, რომ მათი ღონისძიებანი მშრომელების მასობრივი დასვენების საქმეში ჯერ-ჯერობით არ გასცილებია კლუბის ფარგლებს. მასობრივი დასვენების მეორე სახე — მუშების და მათი ოჯახის წევრების ორგანიზაციულად გაყვანა ქალაქგარეთ — აქამდე გამოყენებული არ არის. არც ერთ კლუბს ტფილისში აქამდე არ მოუწყვია მუშების მასობრივი ექსკურსია მახლობელ აგარაკებში ან სხვა რაიონებში, მაშინ, როდესაც ამისათვის არსებობს ყოველნაირი პირობები.

ზაფხულის ნახევარი უკვე გავიდა, ჩვენი კლუბები კი ახლაც არ ჩქარობენ; საჭიროა პროფკავშირებმა, რომელთაც უშუალოდ დაკისრებული აქვთ საკლუბო მუშაობის ხელმძღვანელობა, ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ. დასვენების დღეს ორგანიზებული და კულტურული დასვენების მოწყობა—აი რა უნდა შესძლონ კლუბებმა ახლა.

დამკვრელი.

ტფილისს—სანიმუშო საქალაქო მეურნეობა

იწყება საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილებათა შესრულების შემოწმება ტფილისის საქალაქო მეურნეობაში

10-დან 20 ივლისამდე ტფილისში ტარდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებათა შესრულების შემოწმება საქალაქო მეურნეობის დარგში.

შემოწმება ჩატარებული იქნება საბჭოთა, მასობრივი და სამეურნეო მუშაობის გენერალური დათვალიერების თვალსაზრისით 1931 წლის ივნისიდან დაწყებული, 1933 წლის 1-ლ ივლისამდე. შემოწმებული იქნება, თუ რა გაკეთდა საქალაქო მეურნეობის თვითეულ დარგში ს.კ.პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის და ს.კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად. რა კეთდებოდა და რა უნდა გაკეთებულიყო კომუნალურ მეურნეობის დარგში, როგორ იყო გამოყენებული მუშათა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

თვითშემოწმება ჩატარებული იქნება, როგორც სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ მუშათა ფართო მასები, სადეპუტატო ჯგუფები, ინჟენერ - ტეხნიკოსები, მოსამსახურეები, დასასვლისები და სხვ. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს საქალაქო მეურნეობის დარგში არსებულ დეფექტების ლიკვიდაციისაკენ და პარტიის დავალებების შესრულებისაკენ.

საწარმოებში თვითშემოწმების ჩატარებას უხელმძღვანელებენ ადგილობრივ გამოყენილი ბრიგადები, რომლებშიაც უნდა შევიდნენ — დამკვრელი მუშები, დამკვრელი ინჟენერ - ტეხნიკოსები და ადგილობრივი დეპუტატები.

თვითშემოწმების ჩატარების მთლიანი პროგრამა უკვე შედგენილია. პროგრამაში შედის საქალაქო მეურნეობის ყველა დარგების — სახიანო მშენებლობის, ბანაობებისა და სამრეცხაოების მეურნეობის, საგზაო მშენებლობის, სანძრისაგან დაცვის, ქალაქის დაგეგმვის, გამწვანების, სანიტარიისა და სხვ. დაცვის, ტრამვაის მეურნეობის, ელექტრო მომარაგების, წყალსადენის მეურნეობის და ყველა სხვა დარგების გამოკვლევის საკითხები.

გრიგადების საინსტრუქციო თათბირი

9 ივლისს, ტფილისის საბჭოში შესდგა თვითშემოწმების ჩატარებისათვის გამოყოფილ ბრიგადირების საქალაქო თათბირი, რომელზედაც თვითშემოწმების მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ნოკაიძემ. მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა ყველა ის ამოცანები, რაც დასახულია შემოწმების წინაშე და აღნიშნა თუ რა წესით უნდა ჩატარონ ბრიგადებმა მუშაობა, როგორ უნდა უხელმძღვანელონ ამ კამპანიის მსვლელობას.

თათბირზე მიღებულ იქნა შემოწმების ჩატარების გეგმა. შემოწმების ჩასატარებლად სულ გამოყოფილია 30 ბრიგადა, რომელთაც გუშინ უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას.

ბრიგადებში შედიან ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოს სექციონერი - დეპუტატები, პროფკავშირების, რაიბინკავშირების და კოოპკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქ. ცპკის პრეზიდიუმის დადგენილება

1933 წლის მოსავლიდან სოფლისა და სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების საჯელმწიფოსათვის მაღალსახისრომატებად ჩაბარების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

რათა უზრუნველყოფილი იქნეს სოფლის საბჭოების მუშაობაში მიმდინარე პერიოდის ძირითადი ამოცანის განხორციელება — კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულების შესახებ (მოსავლის აღება, სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის ხორბლეულების თავის დროზე ასი პროცენტით ჩაბარება, ვალის სახით დამზადებათა გეგმების შესრულება, შალვა ხვადაგაიანი, შალვა ანთელავა, ალექსანდრე დალაქიშვილი, ნიკოლოზ კუპავა, ალექსანდრე ზამთარაძე, ირაკლი ქაქუჩია და გრ. გურჯია. აღნიშნული ამხანაგების თავის დროზე გამოუცხადებლობისათვის საკითხი დაისმება სათანადო ორგანიზაციებში.

—

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კულტპროპაგანყოფილება უწყებას, რომ მათ, ვისაც სურთ ამხ. ენუქიძის სახელობის ლენინგრადის აღმოსავლეთის ინსტიტუტში, ნარიმანოვის სახელობის მოსკოვის აღმოსავლეთის ინსტიტუტში და საზოგადო მეცნიერების მასწავლებელთა მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში მსმენელად შესვლა, უნდა შემოიტანონ განაცხადები 15 ივლისამდე ც.კ-ის კულტპროპში (ოთახი № 8).

—

ხოფლად პოლიტსაგანმათლებლო დაწესებულების მუშაობის გარდახალიზმად რაიონებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კულტპროპაგანყოფილების და განათლების კომისარიატის მიერ 15 დღის ვადით მობილიზებულნი არიან ქვემოდ დასახელებული ამხანაგები. მგალობლიშვილი (ორჯონიკიძის კლუბი), გოგიტიძე და დენგიზოსკი (ვოროშილოვის კლუბი), შ. ჯაბანიძე („მუშა"), ტიგიანი (მეტყევეთა კავშ.), ორჯონიკიძე (ტფ. განხ. განყ.-ბა), ჩიქოვანი (პლეხანოვის კლუბი), წიკოსანი (განსახკომი), ოქრუაშვილი (ორჯონიკიძის რაისაბჭოს განხ. განყ.), ლაბაძე (სტალინის რაისაბჭოს განხ. განყ.). ალ. გვეხარია, პანაციდი (პროფსაბჭო), ყიფიანი. აღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ განსახკომში 11 ივლისს საღამოს 7 საათზე ამხ. ბედიას კაბინეტში საინსტრუქციო თათბირზე.

1933 წლის შემოდგომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

დადგენილება

1. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეთა კონტინგენტის თეორიტიული მომზადებით დონის ამაღლებისა, ამ სასწავლებლებში პროლეტარული და სოციალისტური კადრებით უზრუნველყოფისა, შემდგომზე ამ სასწავლებლებიდან მოსწავლეებიდან დაკომპლექტების, ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და 1933—34 სასწავლო წელს მეცადინეობის თავის დროზე გაშლის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭო ადგენს:

1 მისაღები გამოცდები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, საზოგადოებათმეტყველებაში და დიდი-ენაში ყველა, გამოუცდელად, იმ პირისათვის, ვინც 1933 წელს საშუალო სასწავლებელში შედის, დაწესებულ იქნეს:

ა) უმაღლეს სასწავლებელში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში შესვლისათვის—მუშათა ფაკულტატის კურსის მოცულობით;

ბ) ტეხნიკუმში შესვლისათვის შრომის სკოლის შეიდწლედის კურსის მოცულობით.

2. მოსწავლეებით სასწავლებლების დაკომპლექტებისათვის მოწყობილ იქნეს ამ სასწავლებლებთან მიმდები კომისიები—სასწავლებლის დირექტორის თავმჯდომარეობით და სათანადო უწყებებისა, პარტიული და სახპროფკავშირო ორგანიზაციებს წარმომადგენელთა და გამომქცველი კომისიის თავმჯდომარის შედგენილობით.

კანდიდატებს სასწავლებელში სპორტიორი, ჩარიცხავს სასწავლებლის დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალურად სისწორით დაკომპლექტებისათვის.

3. მისაღები გამოცდების ჩასატარებლად სასწავლებლებთან მოწყობილ იქნეს გამომქცველი კომისიები სასწავლებლის დირექტორის მოადგილის (სასწავლის ნაწილის დარგში) თავმჯდომარეობით და სათანადო დისციპლინათა კათედრების ხელმძღვანელთა შედგენილობით.

4. უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მიღებასთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების განსახილველად მოწყობილ იქნეს იმ სახალხო კომისარიატებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან, რომელთა განკარგულებაშიაც არიან სასწავლებლები, სააპელაციო კომისიები სათანადო უწყებების კადრების განყოფილებების გამგის თავმჯდომარეობით და საქართველოს კომპარტიული პარტკომის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ალკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პროფესიონალური კავშირთა საბჭოს წარმომადგენლობით და სათანადო სასწავლებლის დირექტორის შედგენილობით.

5. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას, რომელთა განკარგულებაშიაც სასწავლებლებია, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმებისა მოსწავლეებით დაკომპლექტების სრული შესაბამისობით დაკომპლექტებას იმ კონტინგენტებთან, რაც დამტკიცებულია მთავრობის მიერ 1933—34 სასწავლო წლისთვის.

შენიშვნა: 1933—34 სასწავლო წელს მოსწავლეებით სასწავლებლების დაკომპლექტების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული კონტინგენტები შემცირებულ იქნეს:

1) საამშენებლო ინსტიტუტის ხაზით—150 კაცამდე;

2) სამთო-ქიმიური ინსტიტუტის ხაზით—150 კაცამდე (აქედან 30 კაცი სამთო-საგეგმო სპეციალობისა).

6. 1933—34 სასწავლო წელს მოსწავლეებით უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების დროს მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა თითოეული და კულტურულად ჩამორჩენილი ხოხობებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი ორგანიზაციისათვის, ადგილების განსაზღვრული რაოდენობა ამასთანავე დართული განრიგების მიხედვით (იხ. დანართი).

7. დაწესებულ იქნეს, რომ მე-6 მუხლში აღნიშნული დაბრონირება, ანგარიშის კვალობაზე უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მიღებულნი, აგრეთვე მუშა-დამკვრელნი და მათი შვილები და უწყებული სასწავლებლიც სამეცნიერო მომუშავეთა შვილები, რომელთაც დაიჭირეს მისაღები გამოცდები, მიღებულ უნდა იქნენ უცილობლად.

8 1933—34 სასწავლო წელს მოსწავლეებით სასწავლებლების დაკომპლექტებისთვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ნორმები სოციალური კატეგორიების კვალობაზე:

ა) **ინდუსტრიალურ უმაღლეს სასწავლებლებისათვის:** მუშები, მუშათა შვილები და სპეციალისტთა და სამეცნიერო მომუშავეთა შვილები—80 პროც., კოლმეურნეები—10 პროც., ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—5 პროც. და ოსამსახურეები და მათი შვილები—5 პროც.

ბ) **სახოფლო-სამეურნეო და სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლებისათვის:** მუშები, მოჯამაგირეები და მათი შვილები, აგრეთვე სპეციალისტთა და სამეცნიერო მომუშავეთა შვილები—50 პროც., კოლმეურნეები—30 პროც., ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—15 პროც. და მოსამსახურეები და მათი შვილები 5 პროც.

გ) **ინდუსტრიალური ტეხნიკუმებისათვის:** მუშები, მოჯამაგირეები და მათი შვილები—60 პროც., კოლმეურნეები—25 პროც., ინდივიდუალური მშრომელი გლეხები —10 პროც., სპეციალისტთა, სამეცნიერო მომუშავეთა და პედაგოგთა შვილები—10 პროცენტი და მოსამსახურეები და მათი შვილები—5 პროც.

დ) **სხვა ტეხნიკუმებისათვის:** მუშები, მოჯამაგირეები, კოლმეურნეები და მათი შვილები—85 პროც., ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—10 პროც. და მოსამსახურეები და მათი შვილები—5 პროც.

9. დაწესებულ იქნეს, რომ 1933—34 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულთა შორის ქალები უნდა შეადგენდნენ არა ნაკლებ 25 პროც. (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში არა ნაკლებ 30 პროცენტისა და სამედიცინო ინსტიტუტში არა ნაკლებ 50 პროც.).

10. დაკომპლექტების ჩატარებისათვის დადგენილ იქნეს შემდეგი ვადები:

ა) უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში—ივლისის 10-დან აგვისტოს 1-ე—განცხადებათა მიღება, ხოლო აგვისტოს 5-დან აგვისტოს 20-მდე მისაღები გამოცდები;

ბ) ტეხნიკუმებში—აგვისტოს პირველიდან აგვისტოს 10-მდე განცხადებათა მიღება, ხოლო აგვისტოს 15-დან აგვისტოს 25-მდე მისაღები გაოცდები.

11. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას, რომლის განკარგულებაშიაც სასწავლებლებია, უზრუნველჰყოს ამ სასწავლებლებში შეცადინეობის დაწყება 1933 წ. სექტემბრის პირველიდან.

12. დაევალოს იმ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელთა განკარგულებაშიაც სასწავლებლებია, გამოაქვეყნონ იმ სპეციალობათა ნუსხა, რომლებიც მიიღება სასწავლებლებში 1933 წელს.

13. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და მიაწვდინოს რაიონებამდე პროგრამები და მეთოდიური მითითებები მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს საქმეთა მმართველი
რ. შოშიაშვილი.

1933 წ. ივლისის 8.
ტფილისი.

დანართი

განრიგება

ადგილებისა უმაღლესი სასწავლებლების საუმჯობესო დაკომპლექტების განაწილებისათვის

რაიონების სახელწოდება	სას. სამ. ინსტიტუტი	ზოოვ.-ვეტ. ინსტიტუტი	სამშენებლო ინსტიტუტი	სამთო-ქიმ. ინსტიტუტი	სამედიცინო ინსტიტუტი
ახალქალაქის რაიონი	2	2	1	1	2
ბოგდანოვკის რაიონი	—	2	1	1	2
ახალციხის რაიონი	2	3	2	2	2
ადიგენის რაიონი	1	2	1	1	2
ტოლოშის რაიონი	1	2	1	1	2
ყარაიას რაიონი	2	2	1	1	2
ბორჩალოს რაიონი	3	1	1	1	2
ლიუბლიმბურგის რაიონი	2	2	1	1	2
წალკის რაიონი	1	5	1	1	2
დუშეთის რაიონი	1	4	1	1	3
ბაშკიჩეთის რაიონი	1	3	1	1	2
ერწო-თიანეთის რაიონი	2	4	1	1	2
ხევის რაიონის	1	4	2	1	2
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	2	5	3	3	3
ზემო-სვანეთის რაიონი	2	5	3	3	3
ქვემო-სვანეთის რაიონი	2	3	2	2	2
აფხაზეთის ასსრ	4	7	5	5	6
აჭარისტანის ასსრ	5	8	7	7	5
არმია	4	5	3	3	5
კომპარტიის (ბ) ცეკა	5	5	4	4	3
ა. ლ. კ. კ.	4	4	3	3	2
კომ. პარ. (ბ) ტფ. კომ.	3	3	4	4	2
სათან. პროფკავშირთა ცეკა	3	3	3	3	3
ს უ ლ	55	87	52	50	60

კარტიუხი და საბჭოთა კარენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კულტპროპაგანყოფილება წინადადებას აძლევს სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთ სახწრაფოდ გამოცხადდენ (ჩამოვიდენ ტფილისში) 14—15 ივლისს ათდღიანი კურსების გასავლელად შემდეგი ამხანაგები: ალექსანდრე ჯაბანაშვილი, ტარიფონ ეფუშაჯოვიძე, ვალია სახარულიძე, გიორგი ჯიბლაძე, ევგენი გამსახურდია, პიმენ ნაცვლიშვილი, ვასილ გაბუნია, ალექსანდრე დურდულიძე, ნაზარ ცქიტიშვილი, დიმიტრი ქალანდაძე, ევგენი გოგვაძე, სერგო ფხაკაძე, სერგო ნაზარიშვილი, ვალერიან ქიტარიშვილი, შალვა ხვადაგაიანი, შალვა ანთელავა, ალექსანდრე დალაქიშვილი, ნიკოლოზ კუპავა, ალექსანდრე ზამთარაძე, ირაკლი ქაქუჩია და გრ. გურჯია. აღნიშნული ამხანაგების თავის დროზე გამოუცხადებლობისათვის საკითხი დაისმება სათანადო ორგანიზაციებში.

—

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კულტპროპაგანყოფილება იუწყება, რომ მათ, ვისაც სურთ ამხ. ენუქიძის სახელობის ლენინგრადის აღმოსავლეთის ინსტიტუტში, ნარიმანოვის სახელობის მოსკოვის აღმოსავლეთის ინსტიტუტში და საზოგადო მეცნიერების მასწავლებელთა მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში მსმენელად შესვლა, უნდა შემოიტანონ განაცხადები 15 ივლისამდე ც.კ-ის კულტპროპში (ოთახი № 8).

—

ხოფლად პოლიტსაგანმათლებლო დაწესებულების მუშაობის გარდახალიზმად რაიონებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის კულტპროპაგანყოფილების და განათლების კომისარიატის მიერ 15 დღის ვადით მობილიზებულნი არიან ქვემოდ დასახელებული ამხანაგები. მგალობლიშვილი (ორჯონიკიძის კლუბი), გოგიტიძე და დენგიზოსკი (ვოროშილოვის კლუბი), შ. ჯაბანიძე („მუშა"), ტიგიანი (მეტყევეთა კავშ.), ორჯონიკიძე (ტფ. განხ. განყ.-ბა), ჩიქოვანი (პლეხანოვის კლუბი), წიკოსანი (განსახკომი), ოქრუაშვილი (ორჯონიკიძის რაისაბჭოს განხ. განყ.), ლაბაძე (სტალინის რაისაბჭოს განხ. განყ.). ალ. გვეხარია, პანაციდი (პროფსაბჭო), ყიფიანი. აღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ განსახკომში 11 ივლისს საღამოს 7 საათზე ამხ. ბედიას კაბინეტში საინსტრუქციო თათბირზე.

ბოლო ამბები

ამოღება

პირველი	1.944	1185	60,9
მეორე	1.735	1.310	75,5
ს უ ლ	3679	2495	70,5

გარეცხვა

პირველი	845	641	75,9
მეორე	1060	827	78,0
ს უ ლ	1905	1468	77,1

ხვალ მცხეთაში

ხვალ, 12 ივლისს, მკერავთა პროფესიული კავშირი, სტალინის სახელობის კლუბთან ერთად, აწყობს კავშირის წევრთა მასობრივ, კოლექტიურ დასვენებას მცხეთაში. დასვენებაში მონაწილეობას მიიღებს 1300 კაცი. მუშები და მათი ოჯახის წევრები.

ტფილისის „26-ის სახ. ჭარხნის სახარატო საამქროს პარტუჯრედის მდივანი ამხ. დანიელიანი მუშებში ატარებს გაზეთის ხმამაღლა კითხვას.

საბჭოთა კავშირში

არაჩვეულებრივი სიმძლავრის სატკეცი დაზგა

სვერდლოვსკი, 8 ივლისი. ჩუსოვოს **ჭარხნამ** ურალის მანქანათმშენებლობის **ჭარხნას** დაუკეთა არაჩვეულებრივი სიმძლავრის სატკეცი დაზგა, რომელშიაც ერთი კბილანის ცხრილი იწონის 56 ტონას. ასეთი დაზგის დამზადებაზე ამჟამად უნაყოფოდ მუშაობენ გერმანიაში, თუმცა ამისათვის მობილიზებულნი იყვნენ საუკეთესო ტეხნიკური ძალები. ურალის მანქანათმშენებლობის ჭარხნის მექანიკური ცეხის მუშაკმა დაისახეს ამოცანად დაამზადონ ასეთი დაზგა. ამჟამად წარმოებს ცალკე დეტალების დამუშავება. ოქტომბრის 16 წლისთავისათვის დაზგა მზად უნდა იქნეს (ადს).

„კრასინი" მიეგზავნება არქტიკაში

ლენინგრადი, 8 ივლისი. ახალ მიწისქვეშა ცურვის შემდეგ ყინულისმჭრელი „კრასინი" კაპიტალურად იქნა შეკეთებული. 12 ივლისს „კრასინი" „ჩელიუსკინთან" ერთად მიეგზავნება არქტიკაში. ის პირველი წაიყვანს სატვირთო ქარავანს მდ. ლენის ყელთან, ტამირის ნახევარკუნძულის შემოვლით (ადს).

გამოშვებულია მარტენის პირველი ნაღნობი

მაგნიტოგორსკი, 8 ივლისი. ამხ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობისა და ექსპლოატაციის უფროსმა ამხ. მიშკოვმა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ორჯონიკიძეს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„დღეს, 7 საათსა და 45 წუთზე გამოშვებულ იქნა № 1-ლი მარტენის პირველი ნაღნობი. მიღებულია 100 ტონა ფოლადი. ჩატარებულია მეორე დატენვა. პერსონალი და ყველა მექანიზმი მოქმედად და შაუფერხებლად მუშაობენ.

„მიშკოვი".

გემი „ურიცკი" საფრთხეშია

სახაროვსკი, 9 ივლისი. უკანასკნელ ცნობებით, პოლარული წრის იქით მყოფ მეზამთრეთა ექსპედიციის შემადგენლობაში არსებულ გემ „ურიცკის" ყინულები მუდმივ გადანაცვლების გამო საფრთხე მოელის. „ურიცკის" დასახმარებლად გავიდა ყინულისმჭრელი „ლიტკე" (ადს).

ზამთრის გასაძარებლად—ჩელიუსკინის კონცხზე

მოსკოვი, 9 ივლისი. არხანგელსკში გაემგზავრა ჩელიუსკინის კონცხზე მომავალ მოზღვრეების ჯგუფი ამავე კონცხზე პოლარული სადგურის უფროსის ამხ. ლ. ბრუზგინის მეთაურობით (ადს).

ელსადგური იშენებაევოს ნავთის სარეწაოებზე

უფა, 9 ივლისი. ამუშავდა იშიმბაევოს ნავთის სარეწაოებზე ახლად აგებული ელექტროსადგური. 6 ივლისს ელექტროსადგურია პირველი სამრეწველო დენი მიაწოდა ხე-ტყის სხეინ ქარხანას და № 725 ჰაბერ-ტყის სხეინ ქარხანას (ადს).

გემი „მიშკოვი"

ბაქო, 9 ივლისი. ბაქოს ნავსართულში ჩაეშვა ახალი ნავთის ტანკერი „მიშკოვი". ტანკერის ტვირთამწეობა 12 ათასი ტონაა. ის ნავსართულში ჩაეშვა ორი თვით ადრე ვადაზე. ტანკერი „მიშკოვი" ნავსართულის ბრიგადამ ააგო ორი თვით ადრე ვადაზე (ადს).

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა

(ტონობით)

(7 ივლისს)

მაღაროების ჯგუფები	დაგეგმილი	შესრულება	პროცენტი

ტფილისის გან. განყოფილება ამით აცხადებს

იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ ტფილისის საფ.-საქ. ათწლედების მერვე ჯგუფში შესწლა, რომ მათ განცხადებები სათანადო საბუთებით აგვისტოს პირველამდე უნდა წარადგინონ რაიგანყოფილებებში (ლენრაიგანგანყ. საბჭოს ქ. № 100, სტალინის რაიგანგანყოფილებაში პლეხანოვის ქ. № 121, „26" კომუნარების რაიგანგანყ. კჯხეთის ქ. № 1, ორჯონიკიძის რაიგან. განყ. თავისუფლების მოედანი).

წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. 7 წლედის დასრულების, 2. დაბადების, 3. სოციალური მდგომარეობის, 4. ჯანმრთელობის, 5. აცრის და 6. ორი ფოტოგრაფიული სურათის საკუთარი ხელმოწერით.

განცხადებების მიღება დაიწყება ივლისის 13-დან.

ნ. 153 ტფ. განხ. განყ. გამგე ქავაარაძე

ამ დღეებში

ახალი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი

ჰორიზონტი

ნ. ბაბალოვის, ე. კუზნეცოვის, ს. კომაროვის, ხოხლოვის, კარა ჯმიტრევის მონაწილეობით.

რეჟისორი **ლევ კულეშოვი.**

ნ. 155

ტფილისის გან. განყოფილება ამით აცხადებს

დამწუხრებული ქმარი ვალიკო, მაზლები: ლევანი, ვიქტორი, გრიგოლი ალავიძეები, ძმული პელო, სიძე ნიკიფორე სილაგაძეები იუწყებიან, რომ 12 ივლისს 7 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

გაიანე ბარამ ძე-ალავიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 168

დაკარგულია

გოგო 16 წლის, სახელად **პაშა,** აცვია ვარდისფერი კაბა. თმა შავი, შავგვრემანი, მხანვეოს ვთხოვ შაცნობოს შემდეგი მისამართით: **აბაშა, ოქტომური, იოსებ გაგუას** 178

ქვემოთ ჩამოთვლილი საგუშაგო ჩ. გ

კავშირის წიგნაკები: ახტონინა მგალობლიშვილის, ქოქრაშვილის, სიხარულიძის, ბეგიაშვილის, ელენე ჭუბაბრიასი № 808218, რომან გუდუმაძის № 77801, დავიტკა ბალაუნაშვილის № 23, არჩილ სესაძის № 00174401, ევგენი ყიფიანის № 37, ვანო გველესიანაშვილის, ანნა ბეღლელიძის.

კოოპ. წიგნაკი: ლიდა მაჭავარიანის № 39185, ანნა ბეღლელიძის.

სამხედრო წიგნაკები: დავიტკა ბალაუნაშვილის, შალვა კობაიშვილის № 216.

სხვა და სხვა. ტფილისის საბჭოს წევრობის მანდატი № 1302 ემალილ გიორგაძე-ძე გოჩოლაშვილის, აბასთუმანის სანატორიუმის ორდერი № 54. შუშანა კეკრაძის პირადობის მოწმობა № 130 დავით სიმონის-ძე თურქაძის, პირადობის მოწ. № 815 ელენე პეტრეს-ასულ ჭუბაბრიასი, მეტრიკაზული ამონაწერი ქეთო აფრასიონის, პირადობის მოწ. № 12/5028 რომან გუდუმიძის, პარტმანდატი № 085762 ალექსანდრე ბურჯალიანის, პირადობის მოწმობა მოსე ნაფარიძის, კომკავშირის წიგნაკი № 6966201 დავიტკა ბალაუნაშვილის, კომკავშირის წიგნაკი № 60/6600248 არჩილ თადიაშვილის, წითელ პარტიზანულის წიგნაკი № 2257/257 ვიქტორ ნასარიძის. № 15

კირილე ბეჟანის-ძე ხარაძე ცოლშვილით და სერგი ივანეს-ძე ხაბიშვილი ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს ძვირფასი

რაულენ კიკოთეს-ძე ბარგაძაძის

გარდაცვალებას. 183

რძალი ფუტუ ფულარია, ცოლისძმა ვლადიმერი ფულარია ცოლშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი სიძე

სპირიდონ ვასილის-ძე კაჭარავა

დაკრძალვა დღეს, 6 საათზე, პლეხანოვის პრ. № 38. 163

მეზობლები მ